



This Project is funded by the European Union

**თბილისი-საინფორმაციო
 კვლევითი ცენტრი**

ცენტრის საქმიანობის მიზნები:

**კვლევები რეპატრირებულ მესხთა საჭიროებებზე და საქართველოში დაბრუნების მსურველთა ინფორმირებულობაზე;*

**რეპატრირებულ მესხთა საკითხების ლობირება;*

**მედია მონიტორინგი;*

**ბიბლიოთეკის დაკომპლექტება;*

**კვარტალურად ელექტრონული ბიულეტენის გამოცემა;*

**საერთაშორისო კონფერენციის ორგანიზება დეპორტირებული მოსახლეობის საკითხებზე;*

მისამართი: *წერეთლის გამზირი № 72, II სართული;*



2011 წლის იანვრიდან, მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი ახორციელებს პროექტს “რეპატრიანტთა ჰუმანიტარული დახმარება, თვითრეპატრიაციის პრევენცია” ასოციაცია “ტოლერანტთან” პარტნიორობით. კერძოდ, კავკასიური ინსტიტუტის ბაზაზე მოქმედებს „საინფორმაციო კვლევითი ცენტრი“, რომელიც ამ პროექტის მიზნებს ემსახურება.

პროექტის საწყის ეტაპზე გარემონტდა და აღიჭურვა ცენტრისთვის დათმობილი ოთახი. დაკომპლექტდა პროექტზე მომუშავე გუნდი:

პროექტის კოორდინატორი – ელენე ნოდია, ბუღალტერი, ტექნიკური კოორდინატორი, ექსპერტები – ავთანდილ ჯოხაძე – ფილოსოფოსი, მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის აღმასარულელებელი დირექტორი, გია ნოდია – პოლიტოლოგი, ინსტიტუტის თავმჯდომარე. მასიდან გუნდს შემოურთდა ტარიელ მახაჭაშვილი -



პროექტის საზოგადოებრივი ადვოკატი.

საინფორმაციო კვლევითი ცენტრი ოფიციალურად 2011 წლის 15 აპრილს გაიხსნა. გახსნას ესწრებოდნენ საერთაშორისო ორგანიზაციები, სამთავრობო უწყების წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციები, მესხური თემების წარმომადგენლები და ა.შ.

საინფორმაციო კვლევით ცენტრში მომზადდა ორი საინფორმაციო ბუკლეტი: „აზერბაიჯანში მცხოვრებ მესხთა არალეგალური მიგრაციის პრევენციისათვის“ და „საქართველოს კულტურულ-ისტორიული ზოგადი მიმოხილვა“, რომელიც განკუთვნილია იმ ადამიანებისათვის, რომლებიც ან აპირებენ საქართველოში საცხოვრებლად ჩამოსვლას, ან უკვე ცხოვრებენ აქ.

პროექტის გუნდმა დაგეგმა და შეიმუშავა კვლევის მეთოდები, რომელიც ჩატარდა აზერბაიჯანის მესხებით დასახლებულ რაიონებსა და საქართველოს იმ რეგიონებში, სადაც დეპორტირებული მესხები ცხოვრობენ. ორივე შემთხვევაში ჩატარდა თვისობრივი კვლევა: ფოკუს ჯგუფები მოსახლეობის წარმომადგენლებთან და ჩაღრმავებული ინტერვიუები თემის ლიდერებთან. აზერბაიჯანში კვლევის ჩატარება მიზნად ისახავდა მესხი მოსახლეობის ინფორმირებულობის დონის დადგენას რეპატრიაციის

პროცესების შესახებ, საქართველოს სახელმწიფოს შესახებ, ამ ქვეყანაში ცხოვრების მოლოდინების შესახებ (მაგ: რელიგია, განათლება, დასაქმება), მათი კონკრეტული გეგმები დაბრუნებასთან დაკავშირებით (როდის უნდათ, რომელ რეგიონში, რა სფეროში აპირებენ მოღვაწეობას) და ა.შ.

რაც შეეხება იმ კვლევას, რომელიც საქართველოში ჩატარდა, აქ აქცენტი გაკეთდა იმ პრობლემების დადგენაზე, რომლებსაც დეპორტირებული მესხი მოსახლეობა აწყდება სხვადასხვა დონეზე: იურიდიული საკითხები: მაგალითად მოქალაქეობის/რეპატრიანტის სტატუსის ან საცხოვრებელი ნებართვის მიღება/არ მიღების საკითხები, ყოფითი, სოციალური პრობლემები, პრობლემები რელიგიის ან ეთნიკური იდენტობიდან გამომდინარე. ასევე კვლევამ მოიცვა **“დამხედური”** საზოგადოების დამოკიდებულებები და მოლოდინები რეპატრირებულ მესხურ თემთან მიმართებაში. კვლევის შედეგების ანალიზი გამოიცა ცალკე ბუკლეტად და იგი უფასოდ ვრცელდება.

საზოგადოებრივი ადვოკატი მუშაობის საწყის ეტაპზე დეტალურად გაეცნო რეპატრიაციასთან დაკავშირებულ კანონმდებლობას, გაეცნო მესხების კონკრეტულ ქეისებს, შეხვდა სხვადასხვა გადაწყვეტილების მიმღები და ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანოების წარმომადგენლებს. შემდეგ ეტაპზე კი

დაიწყო და დღემდე გრძელდება კონკრეტულ კეისებზე მუშაობა.

წელიწადზე მეტია მიმდინარეობს ცენტრის მცირე ბიბლიოთეკის დაკომპლექტება. შექმნილია საქართველოში გამოცემული სხვადასხვა წიგნი ან პუბლიკაცია, რომელიც ეხება მესხების ისტორიას, რეპატრიაციის საკითხების ანალიზს ან მომიჯნავე თემატიკას. პარალელურად, პროექტის გუნდი აგროვებს ყველა უფასო გამოცემას, რომელიც რელევანტურია პროექტის მიზნებისთვის (როგორც წიგნებს, ასევე ელექტრონულ ვერსიებს). ბიბლიოთეკის წიგნებით სარგებლობა ნებისმიერ მსურველს შეუძლია.

გარდა ამისა, ცენტრში მიმდინარეობს ჟურნალების **“ტაბულა”** და **“ლიბერალი”** და გაზეთ **“24 საათის”** მონიტორინგი. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მონიტორინგის დაწყებიდან (2011 წლის აპრილის ბოლო) მხოლოდ სულ რამდენიმე ზოგადი სახის სტატია მიემდვინა მესხთა რეპატრიაციის საკითხებს.

ცენტრი უახლოს ხანებში გეგმავს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარებას მესხთა რეპატრიაციის საკითხებზე, სადაც მოწვეულნი იქნებიან როგორც ქართველი, ასე უცხოელი ექსპერტები და პრაქტიკოსები.

